საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 716

01 09 2015წ.

ქ. თბილისი

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[3]" და „თ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის [illegible] მე-12 კმ., №6).

დირექტორი [illegible]ორგი შარვაშიძე

დანართი

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 1. უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნის, საქმიანობისა და დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების წესის მიზანი

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების (შემდგომში - საბჭო) შექმნის, საქმიანობისა და დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების დახვეწისა და მათში ჩართულ პირთა საქმიანობის ხელშეწყობა;

ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის მიმართ დაინტერესებულ მხარეთა ნდობის ამაღლება;

გ) მოქმედი კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატების, ან არსებულის შეცვლის ან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად, ობიექტური, განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება და მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 2. დარგობრივი მახასიათებლის ცნება და ძირითადი მიზნები

1. დარგობრივი მახასიათებელი არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, განსაზღვრავს კონკრეტული მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს შესაბამისი განათლების საფეხურების გათვალისწინებით.

2. დარგობრივი მახასიათებლის ძირითადი მიზნებია:

ა) განსაზღვროს მინიმალური ცოდნა, უნარები ან/და კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი) მფლობელს;

ბ) განსაზღვროს აუცილებელი ცოდნა, უნარები ან/და კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი რეგულირებადი პროფესიის მქონე პირს;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტების ადგილობრივ ან/და საერთაშორისო მობილობასა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;

დ) ხელი შეუწყოს პროგრამის მოქნილობასა და მრავალფეროვნებას, ასევე, წაახალისოს ინოვაციური მიდგომები;

ე) დანერგოს და ასახოს აკადემიურ საზოგადოებასთან შეთანხმებული ერთიანი ხედვა დარგის ძირითადი მახასიათებლებისა და სტანდარტების შესახებ.

მუხლი 3. დარგობრივი მახასიათებლის სტრუქტურა

დარგობრივი მახასიათებელი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სფეროს აღწერა;

ბ) დასაქმების სფერო;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობებისთვის დადგენილი მინიმალური კრედიტების რაოდენობა);

დ) საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის შედეგები, ცოდნა, უნარები ან/და კომპეტენციები საფეხურის მითითებით;

ე) სწავლისა და სწავლების მეთოდები;

ვ) შეფასების მეთოდები;

ზ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და მინიმალური რაოდენობა;

თ) სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/საშუალებები.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობა, მიზნები და ფუნქციები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორი უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით, შექმნას საბჭოები.

2. საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შექმნილი საბჭო, ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უფლებამოსილია შექმნას დარგობრივი სამუშაო ჯგუფები. თითოეულ დარგობრივ სამუშაო ჯგუფს, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ხელმძღვანელობს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭოს საქმიანობის მიზნებია:

ა) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმართულებების, დარგების/სპეციალობების ან ქვედარგების/სპეციალიზაციების მიხედვით, შესაბამისი მახასიათებლის (შემდგომში - მახასიათებელი) შემუშავება და მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად, მათ მუდმივ განახლებაზე ზრუნვა;

ბ) არსებული დარგობრივი მახასიათებლების განახლება და სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტებისა და შესაბამისი ევროდირექტივების გათვალისწინებით;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების გამჭვირვალე და ერთგვაროვანი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

დ) მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

4. საბჭოს ფუნქციებია:

ა) დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება, ანალიზი ან/და დახვეწა, გაუქმების მიზანშეწონილობის განხილვა და ცენტრის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა შემდეგ შემთხვევებში:

ა.ა.) საკუთარი ინიციატივით;

ა.ბ.) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სახელმწიფო დაწესებულებების, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, დარგობრივი და პროფესიული ასოციაციების, შესაბამისი ან მომიჯნავე დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის წარმომადგენლების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დასაბუთებული განცხადების შესწავლის საფუძველზე.

ბ) მოქმედი კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატების, ან არსებულის შეცვლის ან ამოღების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში წარდგენილი განცხადების განხილვაში მონაწილეობის მიღება და ცენტრის დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა.

მუხლი 5. საბჭოს წევრის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

საბჭოს წევრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კვლევისა და მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) თავისი საქმიანობის სფეროში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად აღიარება, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობითა და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობით;
ე) აკადემიურ საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

მუხლი 6. საბჭოს წევრის შერჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი

1. ცენტრის დირექტორი წერილობითი განცხადებით მიმართავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, დარგობრივ და პროფესიულ ასოციაციებს, წარმოადგინონ ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე დარგის სპეციალისტი.
2. თუ შესაბამის დარგში არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული ასოციაცია, დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პროცესში ჩაერთვებიან სხვა დაინტერესებული პირები, ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენლები.
3. ცენტრის დირექტორი წარმოდგენილი პირებიდან 3 წლის ვადით შეარჩევს საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრების კანდიდატურებს და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
4. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეუწყდეს ცენტრის დირექტორის ინიციატივით ან:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;
გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;
დ) ზედიზედ, საბჭოს 5 სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში.
5. საბჭოს წევრს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასტურდება ცენტრის დირექტორის ინვიდიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. საბჭოს შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღება

1. თითოეული საბჭო შედგება არანაკლებ 9 წევრისგან.
2. საბჭოს ან/და მის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრის საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საბჭოს სხდომას იწვევს ცენტრის დირექტორი ან ცენტრის დირექტორთან შეთანხმებით საბჭოს თავმჯდომარე.
4. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
5. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

მუხლი 8. საბჭოს გადაწყვეტილება და სხდომის ოქმი

1. საბჭოს სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) საბჭოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით.

3. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე, ცენტრის დირექტორს წარედგინება შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.